ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4336158

ნომერი: AR1652450

თარიღი : 26.12.2018

გაცემის თარიღი : 14.01.2019

გაცნობის თარიღი : 29.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , კახეთის გზატკეცილი ; ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , კახეთის გზატკეცილი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4212262 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 26 დეკემბრის №AR1652450 განცხადებით მომართეს რევაზ ტყემალაძემ და ივერი ჭალიძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4212262 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 11 მაისის №3955764 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ლილოს დასახლება, კახეთის გზატკეცილი, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, კახეთის გზატკეცილი, შპს "მაგმა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 01.19.15.008.098), მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4212262 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ლილოს დასახლებაში, კახეთის გზატკეცილი; ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, კახეთის გზატკეცილი, შპს "მაგმა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: № 01.19.15.008.098), მრავალფუნქციური კომპლექსის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 11.10.2018 წლიდან 11.10.2020 ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4212262 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შ.პ.ს "მაგმა" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406209892).
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: N 902018094433 - 17/12/2018; მომზადების თარიღი: 21/12/2018) N 01.19.15.008.098 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მია ქონსთრაქშენი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406266909).
წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4212262 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებას და დამკვეთად შპს "მაგმა"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406209892) ნაცვლად შპს ,,მია ქონსთრაქშენი''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406266909) დაფიქსირებას.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს ,,მია ქონსთრაქშენი''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406266909) ხელმძღვანებლობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ მისი დირექტორები: ივერი ჭალიძე (პ/ნ: 01023011793) და ლევან გაგნიძე (პ/ნ: 01028002652).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ამჟამად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მია ქონსთრაქშენი''(ს/ნ: 406266909) სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4212262 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,მია ქონსთრაქშენი''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406266909).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4212262 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4212262 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.